უპირატესობა შედეგია ცოდნისა!

ცოდნისა

აუდიტური კონცერნი

# აუდიტორის დასკვნა

სააქციო საზოგადოება

"Standard Insurance Georgia"

ფინანსური ანგარიშგების შესახებ

1 იანვარი 2011 – 31 დეკემბერი 2011

თბილისი 2012

**შპს აუდიტური კონცერნი „ცოდნისა“**

ლიცენზია სადაზღვევო აუდიტში № დ-163. საიდენტიფიკაციო № 211344188. ელ. ფოსტა: info@tsodnisa.ge
თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ. № 41, IV სართული. ტელ.: 239-33-50 (ფაქსი), 239-33-56

# აუდიტორის დასკვნა

სააქციო საზოგადოება **"Standard Insurance Georgia"**
2011 წლის ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ

1. დამოუკიდებელი აუდიტორული კომპანია შპს აუდიტორული კონცერნი ,,ცოდნისას'' მიერ ჩატარებული იქნა სააქციო საზოგადოება **"Standard Insurance Georgia"**-ს ფინანსური ანგარიშგების (თან ერთვის) აუდიტი. ფინანსური ანგარიშგება მოიცავდა ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას 2011 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, 2011 წლის სრული შემოსავლების ანგარიშგებას, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებას, ფულადი ნაკადების ანგარიშგებას საანგარიშო პერიოდისათვის, სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითად პრინციპებს და განმარტებებს.

2. კომპანიის ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების წარმოებაზე და მის სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. ეს პასუხისმგებლობა მოიცავს: ადეკვატური შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებასა და იმპლემენტაციას, რომელიც არ უნდა შეიცავდეს არსებითი ხასიათის უზუსტობებს, თაღლითობისა და/ან შეცდომების გამო.

3. ჩვენ გვევალება, ჩვენს მიერ ჩატარებული აუდიტის საფუძველზე გამოვხატოთ მოსაზრება წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების შესახებ. ჩვენ ჩავატარეთ აუდიტი აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით. სტანდარტების შესაბამისად აუდიტი დაიგეგმა და ჩატარდა ისეთი ფორმით, რომ დავრწმუნებულიყავით ბუღალტრული ანგარიშგების უტყუარობაში. აუტიდის პროცედურებს შერჩევა დამოკიდებულიაა აუდოტორების მოსაზრებებზე და ხდება იმგვარად, რომ გათვალისწინებული იქნას მატერიალური შეცდომების ან თაღლითობის შედეგად ანგარიშგების დამახინჯების რისკი. აუდიტი ასევე მოიცავს ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობის და სააღრიცხვო ჩანაწერების სისწორის შეფასებას, ისევე როგორც ფინანსური ანგარიშგების სრულად წარდგენის შეფასებას. მიგვაჩნია, რომ ჩვენს მიერ ჩატარებული აუდიტი დასაბუთებულ საფუძველს გვაძლევს დასკვნის შესადგენად

4 აუდიტორული შემოწმების შედეგების მიხედვით, სააქციო საზოგადოება **"Standard Insurance Georgia"**-ს 2011 წლის ბუღალტრული აღრიცხვა, წარმოებდა ფინანსური ანგარიშგებისა და ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების *(IFRS)* მიხედვით, საქართველოს საგადასახადო და სადაზღვევო კანონმდებლობის დაცვით. წარმოდგენილი 2011 წლის ფინანსური ანგარიშგება ყველა ძირითად ასპექტში სანდოდ და უტყუარად ასახავს *საწარმოს* ფინანსურ მდგომარეობას 2011 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ბოლოს მდგომარეობით.

შპს აუდიტორული კონცერნი ,,ცოდნისას'' გენერალური დირექტორი,
სერტიფიცირებული აუდიტორი

გიორგი ცერცვაძე

10.05.2012 წ

სს "Standard Insurance Georgia"

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2011 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

| | 2011 წელი | 2010 წელი | შენიშვნა |
|---|---|---|---|
| *აქტივები* | | | |
| *მიმდინარე აქტივები* | | | |
| ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები | 2165002 | 1577830 | 3 |
| მიმდინარე მოთხოვნები სადაზღვევო საქმიანობიდან | 503576 | 1121478 | 4 |
| სხვა მოთხოვნები გადაზღვევიდან | 475395 | 363827 | 5 |
| სასაქონლო-მატერიალური მარაგები | 1937 | 13155 | 6 |
| მომავალი პერიოდის გადაზღვევის ხარჯები | 126454 | 293633 | 7 |
| დეპოზიტებზე დარიცხული პროცენტები | 6723 | 4675 | 8 |
| სხვა მიმდინარე აქტივები | 173810 | 243924 | 9 |
| *გრძელვადიანი აქტივები* | | | |
| ძირითადი საშუალებები | 137500 | 205740 | 10 |
| არამატერიალური აქტივები | 8795 | 7970 | |
| გადავადებული საგადასახადო აქტივი | 292840 | | 11 |
| *აქტივები სულ:* | 3892033 | 3832232 | |
| *ვალდებულებები და კაპიტალი* | | | |
| *მიმდინარე ვალდებულებები* | | | |
| ვალდებულებები სადაზღვევო კრედიტორების მიმართ | 23384 | 282118 | 12 |
| 5% რეზერვი (IBNR) | 20961 | 79655 | 13 |
| ვალდებულებები გადამზღვეველის მიმართ | 942424 | 695955 | 14 |
| გადავადებული სადაზღვევო შემოსავალი | 281478 | 922478 | 15 |
| გადავადებული შემოსავალი გადაზღვევის საკომისიოდან | 30701 | 61832 | 16 |
| სხვა მიმდინარე ვალდებულებები | 16234 | 71277 | 17 |
| *ვალდებულებები სულ:* | 1315182 | 2113315 | |
| საწესდებო კაპიტალი | 4480000 | 2624000 | 18 |
| გაუნაწილებელი მოგება / (დაუფარავი ზარალი) | (1903149) | (905083) | |
| *კაპიტალი სულ:* | 2576851 | 1718917 | |
| *სულ ვალდებულებები და კაპიტალი* | 3892033 | 3832232 | |

გენერალური დირექტორი ______________ ნ. გურბანოვი

ბუღალტერი ______________ შ. ჯოჯუა

**სს "Standard Insurance Georgia"**

სრული შემოსავლების ანგარიშგება

2011 წლის 1 იანვრიდან – 2011 წლის 31 დეკემბრამდე

| | 2011 წელი | 2010 წელი | შენიშვნა |
|---|---|---|---|
| მოზიდული სადაზღვევო პრემია | 672 228 | 1 985 182 | 19 |
| გამოუმუშავებელი პრემიის რეზერვი | 641 000 | (486 966) | 20 |
| გადაზღვევის ხარჯები | (420 277) | (387 114) | 21 |
| ზარალის ანაზღაურების ხარჯები | (1 387 953) | (1 047 859) | 22 |
| გადამზღვევის წილი ანაზღაურებულ ზარალში | 166 956 | 157 501 | |
| 5% რეზერვი | (6 253) | (68 982) | |
| *მოგება (ზარალი) სადაზღვევო საქმიანობიდან* | (334 299) | 151 762 | |
| აგენტების და ბროკერის საკომისიო | (46 390) | (81 658) | 23 |
| შემოსავალი გადაზღვევის საკომისიოდან | 77 062 | 95 538 | |
| სხვა შემოსავლები სადაზღვევო საქმიანობიდან | 30 461 | 48 257 | 24 |
| *სულ მოგება სადაზღვევო საქმიანობიდან* | (273 166) | 213 899 | |
| საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები | (994 906) | (1 035 194) | 25 |
| *სულ საოპერაციო ხარჯები* | (994 906) | (1 035 194) | |
| ფინანსური შემოსავალი | 167 555 | 113 585 | 26 |
| ფინანსური ხარჯები | | (1 278) | |
| უარყოფითი საკურსო სხვაობა და სხვა შემოსავლები/(ხარჯები) | (190 388) | (9 636) | 27 |
| *მოგება დაბეგვრამდე* | (1 290 906) | (718 624) | |
| მოგების გადასახადის ხარჯი | (292 840) | | 28 |
| პერიოდის მოგება (ზარალი) | (998 066) | (718 624) | |

გენერალური დირექტორი ______________________ ნ. გურბანოვი

ბუღალტერი ______________________ შ. ჯოჯუა

სს "Standard Insurance Georgia"

საკუთარი კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგება

2011 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

| | საწესდებო კაპიტალი | რეზერვი და დაფინანსება | დაგროვილი მოგება (ზარალი) | სულ |
|---|---|---|---|---|
| სააქციო კაპიტალი 01.01.2010 მდგომარეობით | 1 600 000 | - | (186 459) | 1 413 541 |
| კაპიტალის ემისია | 1 024 000 | | | 1 024 000 |
| ქონების გადაფასება | | | | |
| მიმდინარე პერიოდის მოგება (ზარალი) | | | (718 624) | (718 624) |
| გაცხადებული დივიდენდები | | | | |
| სხვა ცვლილებების საკუთარ კაპიტალში | | | | |
| სააქციო კაპიტალი 01.01.2011 მდგომარეობით | 2 624 000 | - | (905 083) | 1 718 917 |
| კაპიტალის ემისია | 1 856 000 | | | |
| ქონების გადაფასება | | | | |
| მიმდინარე პერიოდის მოგება (ზარალი) | | | (998 066) | (998 066) |
| გაცხადებული დივიდენდები | | | | |
| სხვა ცვლილებების საკუთარ კაპიტალში | | | | |
| სააქციო კაპიტალი 01.01.2012 მდგომარეობით | 4 480 000 | - | (1 903 149) | 2 576 851 |

გენერალური დირექტორი _______________ ნ. გურბანოვი

ბუღალტერი _______________ შ. ჯოჯუა

**სს "Standard Insurance Georgia"**

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

2011 წლის 1 იანვრიდან – 2011 წლის 31 დეკემბრამდე

| | 2011 წელი | 2010 წელი |
|---|---|---|
| **ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან** | | |
| ფულადი სახსრები გაყიდული სადაზღვევო პოლისებიდან | 1 161 908 | 1 352 048 |
| ფულადი სახსრები გადამზღვევლის მიერ ანაზღაურებულ ზარალებიდან | 101 324 | |
| ფულადი სახსრები რეგრესიდან და გადარჩენილი ქონებიდან | 32 092 | 37 062 |
| გადახდილი გადაზღვევის პრემია | (6 533) | (43 738) |
| გადახდილი ზარალი | (1 664 398) | (771 523) |
| გადახდილი შრომის ანაზღაურება | (429 081) | (463 799) |
| გადახდილი მოგების გადასახადი (პროცენტებიდან) | | (2 838) |
| გადახდილი ჯარიმები და გადასახადები (მოგების გადასახადის გარდა) | (247 334) | (234 333) |
| გადახდილი საბანკო ხარჯები | (12 153) | (11 920) |
| გადახდილი იჯარა | (71 738) | (125 886) |
| გადახდილი კონსულტანტების და აუდიტორების მომსახურება | (13 058) | (100 757) |
| გადახდილი საკომუნიკაციო ხარჯები | (22 024) | (20 897) |
| გადახდილი საკანცელარიო ხარჯები | (12 561) | (51 742) |
| თანამშრომლებზე გაცემული საქვეანგარიშო თანხები | 77 616 | (168 125) |
| მომწოდებლებისთვის გადახდილი ფულადი სახსრები | (100 297) | (14 532) |
| სხვა საოპერაციო ხარჯები | (113 279) | (30 713) |
| პრეტენზიები | (68 856) | |
| **საოპერაციო საქმიანობიდან ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი** | **(1 388 371)** | **(651 695)** |
| **ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან** | | |
| ძირითადი საშუალებების შეძენა | (4 212) | (112 459) |
| ძირითადი საშუალებების გასვლიდან შემოსულობანი | 13 248 | |
| ძირითადი არამატერიალური აქტივების შეძენა | (2 200) | (6 320) |
| დეპოზიტებიდან მიღებული პროცენტები | 166 296 | 116 566 |
| **საინვესტიციო საქმიანობიდან ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი** | **173 132** | **(2 214)** |
| **ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან** | | |
| საწესდებო კაპიტალის ზრდა | 1 907 186 | 972 033 |
| მიღებული მოკლევადიანი სესხები | 50 000 | |
| მიღებული მოკლევადიანი დაფარვა | (50 000) | (60 000) |
| გადახდილი პროცენტები | | (1 603) |
| **ფინანსური საქმიანობიდან ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი** | **1 907 186** | **910 429** |
| ვალუტის კურსის ცვლილებით გამოწვეული ზრდა (კლება) | (104 774) | (42 538) |
| **ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტების წმინდა ნაზრდი** | **587 173** | **213 983** |
| **ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები პერიოდის დასაწყისში** | **1 577 831** | **1 363 848** |
| **ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები პერიოდის ბოლოს** | **2 165 004** | **1 577 831** |

გენერალური დირექტორი ____________ ნ. გურბანოვი

ბუღალტერი ____________ შ. ჯოჯუა

## 1. ზოგადი ინფორმაცია

სს **"Standard Insurance Georgia"** (შემდგომში – *კომპანია*) დარეგისტრირებულია 2007 წლის 4 ნოემბერს თბილისის ძველი თბილისის რაიონის საგადასახადო ინსპექციის მიერ. *კომპანიის* იურიდიული მისამართია: საქართველო, თბილისი 0105, კანდელაკის ქ. №39, საიდენტიფიკაციო №204540274. *კომპანია* არ არის დღგ-ის გადამხდელი, საგადასახადო აღრიცხვაზე იმყოფება ძველი თბილისის საადასახადო ინსპექციაში.

2011 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის საწესდებო კაპიტალი შეადგენდა 4480000 ლარს. კომპანიის ერთადერთი დამფუძნებელი არის სს „Стандард Страхование" ბაქო, აზერბაიჯანი 100%.

*კომპანიას* არ ყავს შვილობილი კომპანიები. ფინანსური ანგარიშგების მომზადების პერიოდში კომპანიის დირექტორი იყო ნარიმან გურბანოვი. ანგარიშგების პერიოდში კომპანიის დირექტორი შეიცვალა სამჯერ. 2011 წლის 14 თებერვლამდე კომპანიის დირექტორი იყო ზურაბ გუმბერიძე. 2011 წლის 14 თებერვლიდან 2011 წლის 1 ივნისამდე – ფუად გულიევი. 2011 წლის 1 ივნისიდან 2011 წლის 7 ივლისამდე – ორხან ვალიევი, ხოლო 2011 წლის 7 ივლისიდან - ნარიმან გურბანოვი.

კომპანიის ძირითად ეკონომიკურ საქმიანობას წარმოადგენს დაზღვევა და გადაზღვევა. *კომპანიას* აქვს საქართველოს ეროვნული ბანკის ლიცენზია საერთო დაზღვევასა და გადაზღვევაში, ასევე სიცოცხლის დაზღვევის და გადაზღვევის ლიცენზია.

## 2. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა

ქვემოთ მოცემულია ის არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა, რომლის მიხედვითაც მოხდა ფინანსური ანგარიშგების მომზადება.

### სადაზღვევო შემოსავლების აღიარება

*კომპანია* გამოიმუშავებს თავის შემოსავალს სადაზღვევო პოლისების გაყიდვით. *კომპანია* პოლისებიდან მიღებულ შემოსავალს, დღის სიზუსტით, აღიარებს გამომუშავებულ შემოსავლად იმ პერიოდის შესაბამისად რა პერიოდზეც განსაზღვრულია პოლისის მოქმედება. პოლისის გაცემისთანავე *კომპანია* სადაზღვევო პრემიის სრულ თანხას აღიარებს როგორც მოზიდულ შემოსავალს, ხოლო შემდგომ გამოუმუშავებელი სადაზღვევო პრემიის რეზერვის კორექტირების მეშვეობით ახდენს ამ შემოსავლის თანაბარ გადანაწილებას შესაბამის პერიოდებზე (დღეების სიზუსტით).

### უცხოური ვალუტის გადაანგარიშება

ფუნქციონალური და საანგარიშგებო ვალუტა, რომელიც შესულია ჯგუფის ყველა კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაში, ფასდება პირველადი ეკონომიკურ გარემოს ვალუტის გამოყენებით, რომელშიც მოღვაწეობს *კომპანია* („ფუნქციონალური ვალუტა").

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციების გადათვლა ფუნქციონალურ ვალუტაში ხდება ოპერაციის განხორციელების დღეს მოქმედი კურსის გამოყენებით. აღნიშნული ოპერაციების შედეგად, ისევე როგორც უცხოურ ვალუტაში გამოსახული ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების წლის ბოლოსათვის არსებული კურსით გადათვლისასა წარმოქმნილი მოგება და ზარალი აღირიცხება მოგებისა და ზარალის ანგარიშში, იმ შემთხვევების გარდა, როდესაც ისინი დროებით გადატანილია კაპიტალის ანგარიშზე.

ლარის კურსი ძირითად უცხოურ ვალუტებთან:

31.12.2010 - USD 1 = 1.7728 GEL EUR 1 = 2.35 GEL

31.12.2011 - USD 1 = 1.6703 GEL EUR 1 = 2.1614 GEL

ძირითადი საშუალებები

*კომპანია* ძირითად საშუალებებს აღრიცხავს ისტორიული (პირველადი) ღირებულებით ცვეთის გათვალისწინებით. პირველადი ღირებულება შეიცავს ხარჯებს, რომლებიც პირდაპირ არის დაკავშირებული ამ ძირითადი საშუალებების შეძენასთან. შემდგომი დანახარჯები შედის აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარებულია ცალკე აქტივად, იმ შემთხვევაში, თუ არსებობს ალბათობა იმისა, რომ ამ აქტივთან დაკავშირებული მომავალი ეკონომიკური სარგებელი წარიმართება *კომპანიისაკენ* და აქტივის ღირებულების გამოთვლა შესაძლებელია. რემონტთან და ტექნიკურ მომსახურებასთან დაკავშირებული ყველა სხვა დანახარჯი აისახება შესაბამისი პერიოდის მოგებისა და ზარალის ანგარიშში.

ძირითადი საშუალებების ცვეთის გამოანგარიშება ხდება მათი პირველადი ან გადაფასებული ღირებულების სალიკვიდაციო ღირებულებამდე თანაბრად ჩამოწერის მეშვეობით მათი სასარგებლო გამოყენების ვადის განმავლობაში, კერძოდ:

– იჯარით აღებული ძირითადი საშუალებების რემონტი - 5 წელი;
– ტრანსპორტი - 5 წელი;
– ოფისის აღჭურვილობა - 8-10 წელი;
– კომპიუტერები და კომუნიკაციის საშუალებები - 4-5 წელი;
– სხვა ძირითადი საშუალებები - 3-5 წელი.

არამატერიალური აქტივები

*ლიცენზიები*

ლიცენზიები ასახულია თავდაპირველი ღირებულებით. ლიცენზიებს აქვთ შეზღუდული სასარგებლო გამოყენების ვადა და აღირიცხებიან თვითღირებულებით დაგროვილი ამორტიზაციის გამოკლებით. ამორტიზაციის გამოანგარიშება ხდება ღირებულების თანაბრად ჩამოწერის მეშვეობით სასარგებლო გამოყენების ვადის განმავლობაში (10-15 წელი).

*კომპიუტერების პროგრამული უზრუნველყოფა*

შეძენილი პროგრამული უზრუნველყოფის ლიცენზიების კაპიტალიზაცია ხდება კონკრეტული პროგრამული უზრუნველყოფის შეძენასა და მონტაჟზე გაწეული დანახარჯების მიხედვით. ამ დანახარჯების ამორტიზაცია ხდება სასარგებლო გამოყენების ვადის განმავლობაში (10-15 წელი). კომპიუტერული პროგრამების შემუშავებასა და მხარდაჭერაზე გაწეული დანახარჯები გათვალისწინებულია ხარჯებში მათი წარმოქმნის მიხედვით. დანახარჯები, რომლებიც პირდაპირ არიან დაკავშირებული ცალკე აღებული ინდივიდუალური პროგრამული პროდუქტის შემუშავებასთან (სამედიცინო დაზღვევის პროგრამა „ესკულაპი"), რომელსაც *კომპანია* გააკონტროლებს და რომლის გამოყენებიდანაც, სავარაუდოდ, ერთ წელზე ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე, მიღებული იქნება შემოსავალი, რომელიც გადააჭარბებს თვითღირებულებას, აღირიცხება არამატერიალური აქტივების ნაწილში. პროგრამული უზრუნველყოფის შემუშავების დანახარჯები შეიცავს პროგრამული უზრუნველყოფის შემუშავების სპეციალისტების შრომის ანაზღაურებას და გადანაწილებადი ზედნადები ხარჯების შესაბამის ნაწილს.

პროგრამული უზრუნველყოფის შემუშავების დანახარჯები, რომლებიც აღიარებულია აქტივებად, ამორტიზირდება სასარგებლო გამოყენების ვადის განმავლობაში (არაუმეტეს 10 წლისა).

*დებიტორული დავალიანება სადაზღვევო საქმიანობიდან*

დებიტორული დავალიანება სადაზღვევო საქმიანობიდან წარმოადგენს ფინანსურ აქტივს ფიქსირებული ან განსაზღვრული გადახდებით. ის წარმოიქმნება *კომპანიის* მიერ უშუალოდ დებიტორზე სადაზღვევო მომსახურების. ის მიეკუთვნება მიმდინარე აქტივებს ერთ წელზე ხანგრძლივი დაფარვის ვადიანი აქტივების გამოკლებით (ასეთი აქტივები კლასიფიცირდება როგორც გრძელვადიანი აქტივები). დებიტორული დავალიანება სადაზღვევო საქმიანობიდან ბალანსში აისახება მიმდინარე მოთხოვნები სადაზღვევო საქმიანობიდან მუხლში (შენიშვნა 4).

*ვალდებულებები სადაზღვევო კრედიტორების მიმართ*

ვალდებულებები სადაზღვევო კრედიტორების მიმართ თავდაპირველად აისახება სამართლიანი ღირებულების მიხედვით გაუფასურების რეზერვის გამოკლებით.

*მომავალი პერიოდის სადაზღვევო მოგება*

*კომპანია* ახდენს სადაზღვევო პოლისებიდან/კონტრაქტებიდან მოგების გადავადებას და აღრიცხავს მას ბალანსის მუხლში „მომავალი პერიოდის სადაზღვევო მოგება".

## 3. ფულადი სახსრები

*ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები*

*კომპანიის* ფულად სახსრებს და მათ ექვივალენტებს 2011 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შემდეგი სტრუქტურა ჰქონდათ:

| | 2011 წელი (ლარი) | 2010 წელი (ლარი) |
|---|---|---|
| ნაღდი ფული სალაროში | 43 | 1730 |
| მიმდინარე საბანკო ანგარიშები | 223555 | 71855 |
| დეპოზიტები | 1941404 | 1504245 |
| | 2165002 | 1577830 |

2011 წლის მანძილზე *კომპანიას* გახსნილი ჰქონდა დეპოზიტები საქართველოს 5 ბანკში: ,,კორსტანდარტ ბანკში", ,,თიბისი ბანკში", ,,რესპუბლიკა ბანკში" ,,პროკრედიტ ბანკში" და ,,საქართველოს ბანკში". *კომპანია* ათავსებს ფულად სახსრებს საბანკო დეპოზიტებზე იმისთვის, რომ დაიცვას საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წესი *,,დაზღვევის (გარდა სიცოცხლის დაზღვევისა) სახეობების მიხედვით შექმნილი სადაზღვევო რეზერვების განთავსებისა და ინვესტირების შესახებ". კომპანია* არ განიხილავს ამ დეპოზიტებს როგორც ინვესტიციებს რადგანაც ამ დეპოზიტების ძირითადი დანიშნულება არის საქართველოს ეროვნული ბანკის მოთხოვნების დაკმაყოფილება. *კომპანიის* წვდომა დეპოზიტებზე განთავსებულ ფულად სახსრებზე არ არის შეზღუდული სადეპოზიტო პირობებით.

## 4. მიმდინარე მოთხოვნები სადაზღვევო საქმიანობიდან

2011 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით *კომპანიის* მიმდინარე მოთხოვნებს (საეჭვო ვალების გათვალისწინებით) სადაზღვევო საქმიანობიდან შემდეგი სტრუქტურა ქონდა:

| | 2011 წელი (ლარი) | 2010 წელი (ლარი) |
|---|---|---|
| დებიტორული დავალიანება (დაზღვევა კასკო) | 460 639 | 494 194 |
| საეჭვო ვალების კორექტირება (დაზღვევა კასკო) | (88 263) | |
| დებიტორული დავალიანება (ქონების დაზღვევა) | 7 813 | |
| დებიტორული დავალიანება (სამედიცინო დაზღვევა) | 87 923 | 549 066 |
| დებიტორული დავალიანება (სხვა დაზღვევა) | 35 464 | 78 219 |
| | 503 576 | 1 121 479 |

## 5. სხვა მოთხოვნები გადაზღვევიდან

| | 2011 წელი (ლარი) | 2010 წელი (ლარი) |
|---|---|---|
| მოთხოვნები გადამზღვევის მიმართ ზარალის ანაზღაურების ნაწილში | 228 127 | 179 469 |
| დებიტორული დავალიანება გადაზღვევის საკომისიოდან | 247 268 | 184 358 |
| | 475 395 | 363 827 |

*კომპანიას* 2011 წლის მდგომარეობით გააჩნდა მოთხოვნა ერთადერთი გადამზღვევის და ამავე დროს დამფუძნებელის სააქციო საზოგადოებას „Стандард Страхование“-ს (ბაქო) მიმართ, რომელიც წარმოადგენდა მოთხოვნას გადაზღვევიდან მისაღებ საკომისიოდან და გადამზღვევლის წილს ანაზღაურებულ ზარალებში. *კომპანია* არ ახდენს მხოლოდ სამედიცინო რისკების გადაზღვევას, ხოლო ყველა დანარჩენი სახეობების რისკების გადაზღვევა ხორციელდება რეგულარულად.

## 6. სასაქონლო-მატერიალური მარაგები

2011 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით *კომპანიის* სასაქონლო-მატერიალური მარაგები უტოლდებოდა 1937 ლარს. ამ თანხიდან 1500 ლარი შეადგინა სადაზღვევო შემთხვევების დადგომის შედეგად *კომპანიისთვის* გადაცემულმა ორმა ავტომაქანამ (გადარჩენილი ქონება), ხოლო 437 ლარი *კომპანიის* ბალანსზე წლის ბოლოს დარჩენილმა საწვავის სასაქონლო-მატერიალურმა მარაგმა.

## 7. მომავალი პერიოდის გადაზღვევის ხარჯები

*კომპანიის* წინასწარ გაწეულ (მომავალი პერიოდების) გადაზღვევის ხარჯებს 2011 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შემდეგი სტრუქტურა ჰქონდათ.

| | 2011 წელი (ლარი) | 2010 წელი (ლარი) |
|---|---|---|
| მომავალი პერიოდის გადაზღვევის ხარჯები (დაზღვევა კასკო) | 62 481 | 166 734 |
| მომავალი პერიოდის გადაზღვევის ხარჯები (ქონების დაზღვევა) | 11 949 | 1 983 |
| მომავალი პერიოდის გადაზღვევის ხარჯები (სხვა დაზღვევა) | 52 024 | 124 915 |
| | 126 454 | 293 632 |

წინასწარ გაწეული გადაზღვევის ხარჯები *კომპანიისთვის* წარმოადგენენ იმ სადაზღვევო პოლისების გადაზღვევის ხარჯებს, რომელთა მოქმედების პერიოდი შემდეგ საანგარიშგებო პერიოდზე გადადის და რომლებიდანაც შემოსავალი (და შესაბამისად ხარჯიც) მიკუთვნებულ იქნება შემდეგ საანგარიშო პერიოდებს.

## 8. დეპოზიტებზე დარიცხული პროცენტები

| | 2011 წელი (ლარი) | 2010 წელი (ლარი) |
|---|---|---|
| დეპოზიტებზე დარიცხული პროცენტები ბანკ „რესპუბლიკაში“ | - | 184 |
| დეპოზიტებზე დარიცხული პროცენტები „კორსტანდარტ ბანკში“ | 3917 | 4259 |
| დეპოზიტებზე დარიცხული პროცენტები „თიბისი ბანკში“ | - | 233 |

| | | |
|---|---|---|
| დეპოზიტებზე დარიცხული პროცენტები „პროკრედიტ ბანკში“ | 2595 | - |
| დეპოზიტებზე დარიცხული პროცენტები „საქართველოს ბანკში“ | 211 | - |
| | 6 723 | 4 676 |

## 9. სხვა მიმდინარე აქტივები

| | 2011 წელი (ლარი) | 2010 წელი (ლარი) |
|---|---|---|
| ვანსები | - | 25 000 |
| მოთხოვნები ანგარიშვალდებული პირებისადმი | 89 979 | 167 695 |
| მოთხოვნები აქციონერებისადმი | - | 51 200 |
| სხვა მიმდინარე აქტივები | 83 831 | 29 |
| | 173 810 | 243 924 |

2011 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით *კომპანიის* სხვა მიმდინარე აქტივებში, კერძოდ კი 83831 ლარში, შესული ჰქონდა პრეტენზია წაყენებული სს „საქართველოს რკინიგზის“ მიმართ. პრეტენზიის თანხა შეადგენდა 35,000 შვეიცარული ფრანკის ექვივალენტს ლარებში – 68855 ლარს, რომელიც *კომპანიის* ანგარიშიდან ჩამოიჭრა 2011 წლის 5 ივლისს საბანკო გარანტიის ამოქმედების გამო. *კომპანია* არ დაეთანხმა ამ თანხის ჩამოჭრას და საპასუხოდ საქმე შეიტანა თბილისის საქალაქო სასამართლოში. ფინანსური ანგარიშგების შედგენის თარიღისათვის საქმე იმყოფებოდა სასამართლოში განხილვაზე და შესაბამისად *კომპანიის* ბალანსზე რჩებოდა აღრიცხული როგორც წაყენებული პრეტენზია.

## 10. ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები

*კომპანიის* ძირითადი საშუალებების სტრუქტურა 2011 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შემდეგნაირად წარმოდგებოდა:

| | იჯარით აღებული ქონების რემონტი (GEL) | ტრანსპორტი (GEL) | ოფისის აღჭურვილობა (GEL) | კომპ .და კომუნიკაციის საშუალებები (GEL) | სხვა ძირითადი საშუალებები (GEL) | არამატ. აქტივები (GEL) | სულ (GEL) |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| ისტორიული ღირებულება | | | | | | | |
| ნაშთი 2011 წლის 1 იანვრის მდგომარეობით | 56 013 | 77 736 | 37 215 | 116 240 | 6 370 | 8 837 | **302 411** |
| დამატება | 1 511 | | 2 355 | 346 | | 2 200 | **6 412** |
| (შემცირება) | | 10 338 | 150 | 8 893 | | | **19 381** |
| ნაშთი 2011 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით | **57 524** | **67 398** | **39 420** | **107 693** | **6 370** | **11 037** | **289 442** |

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| ცვეთა, ამორტიზაცია და გაუფასურება | | | | | | | |
| ნაშთი 2011 წლის 1 იანვრის მდგომარეობით | 22 984 | 29 845 | 6 246 | 26 366 | 2 395 | 867 | **88 703** |
| ცვეთის და ამორტიზაციის ხარჯი ჩამოწერა | 11 302 | 14 255 | 3 832 | 21 175 | 2 507 | 1 376 | **54 446** |
| **ნარჩენი ღირებულება 2011 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით** | **23 238** | **23 298** | **29 342** | **60 152** | **1 468** | **8 794** | **146 293** |

## 11. გადავადებული საგადასახადო აქტივი

გადავადებული საგადასახადო აქტივის აღიარება ხდება ყველა იმ საგადასახადო ზარალისთვის, რომელთა გამოყენებაც შესაძლებელი იქნება იმ შემთხვევაში თუ მომავალ პერიოდებში იარსებებს ისეთი დასაბეგრი მოგება რომლის შემცირებაც შესაძლებელი გახდება ამ საგადასახადო ზარალებით. *კომპანიის* მენეჯმენტის შეხედულების გათვალისწინება აუცილებელია იმ გარემოებასთან დაკავშირებით, რომ თუ როგორი იქნება *კომპანიის* მომავალი საგადასახადო დაგეგმარების სტრატეგია, რა იქნება მომავალი პერიოდების დასაბეგრი მოგება და შეძლებს თუ არა ამ მოგებამ გადაფაროს წინა პერიოდის საგადასახადო ზარალები. *კომპანიამ* არ აღიარა გადავადებული საგადასახადო აქტივი 2010 წლის ბოლოს, რადგან საეჭვოდ მიიჩნია რომ ამ შემდგომი ხუთი წლის დასაბეგრი მოგება გადაფარავდა ამ დროისთვის აკუმულირებულ საგადასახადო ზარალებს. წელს *კომპანიამ* შეძლო შეექმნა გადავადებული საგადასახადო აქტივი, რადგანაც მისი პოზიცია მომავალში დასაბეგრი შემოსავლების მიღებასთან გამყარდა.

2011 წლის მდგომარეობით *კომპანიის* გადავადებულ საგადასახადო აქტივს შემდეგი სტრუქტურა აქვს:

| | ნარჩენი ღირებულება (ფინანსური) | ნარჩენი ღირებულება (საგადასახადო) | დროებითი სხვაობები | მოგების გადასახადის მოქმედი განაკვეთი | მოგების გადასახადი აქტივი (ვალდებულება) |
|---|---|---|---|---|---|
| ***2011*** | | | | | |
| ძირითადი საშუალებები | 137 500 | 103 274 | (34 226) | 15% | (5 134) |
| არამატერიალური აქტივები | 8 795 | 7 726 | (1 068) | 15% | (160) |
| საგადასახადო ზარალი | - | 1 887 634 | 1 887 634 | 15% | 283 145 |
| საეჭვო ვალები | (88 263) | | 88 263 | 15% | 13 239 |
| ზარალის ანარიცხი | (11 664) | - | 11 664 | 15% | 1 750 |
| სულ | **46 368** | **1 998 635** | **1 952 267** | | **292 840** |

## 12. ვალდებულებები სადაზღვევო კრედიტორების მიმართ

2011 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით *კომპანიის* ვალდებულებები სადაზღვევო კრედიტორების მიმართ შეადგენდა 23 384 ლარს. ეს თანხა ძირითადად მოიცავდა ვალდებულებებს სამედიცინო მომწოდებლების მიმართ. 2010 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ეს ციფრი შეადგენდა 282 118 ლარს. სადაზღვევო კრედიტორული დავალიანების ასეთი კლება გამოწვეულია იმ გარემოებით, რომ 2011 წლის განმავლობაში მოხდა სს „საქართველოს რკინიგზის" სამედიცინო კონტრაქტის ძირითადი ზარალების ანაზღაურება. ეს კონტრაქტი შეადგენდა *კომპანიის* სამედიცინო დაზღვევის დაახლოებით 90%-ს.

## 13. 5% რეზერვი (IBNR)

2011 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით *კომპანიის* 5% რეზერვს შემდეგი სტრუქტურა ქონდა:

| | 2011 წელი (ლარი) | 2010 წელი (ლარი) |
|---|---|---|
| 5% რეზერვი (IBNR) | 20 961 | 79 655 |
| | 20 961 | 79 655 |

## 14. ვალდებულებები გადამზღვევლის მიმართ

2011 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით *კომპანიის* ვალდებულებამ გადამზღვევლის მიმართ შეადგინა 942424 ლარი, რაც წარმოადგენდა ერთადერთი გადამზღვევლის და ამავე დროს დამფუძნებლის სს „Стандард Страхование" ბაქოს წინაშე კრედიტორულ დავალიანებას გადაზღვეული რისკებიდან.

## 15. გადავადებული სადაზღვევო შემოსავალი

| | 2011 წელი (ლარი) | 2010 წელი (ლარი) |
|---|---|---|
| გადავადებული სადაზღვევო შემოსავალი (დაზღვევა კასკო) | 121 707 | 312 495 |
| გადავადებული სადაზღვევო შემოსავალი (ქონების დაზღვევა) | 13 790 | 4 355 |
| გადავადებული სადაზღვევო შემოსავალი (სამედიცინო დაზღვევა) | 72 078 | 440 331 |
| გადავადებული სადაზღვევო შემოსავალი (სხვა დაზღვევა) | 73 903 | 165 297 |
| | 281 478 | 922 478 |

## 16. გადავადებული შემოსავალი გადაზღვევის საკომისიოდან

| | 2011 წელი (ლარი) | 2010 წელი (ლარი) |
|---|---|---|
| გადავადებული შემოსავალი გადაზღვევის საკომისიოდან (დაზღვევა კასკო) | 17 468 | 46 686 |
| გადავადებული შემოსავალი გადაზღვევის საკომისიოდან (ქონების დაზღვევა) | 2 987 | 555 |
| გადავადებული შემოსავალი გადაზღვევის საკომისიოდან (სხვა დაზღვევა) | 10 246 | 14 590 |
| | 30 701 | 61 831 |

## 17. სხვა მიმდინარე ვალდებულებები

| | 2011 წელი (ლარი) | 2010 წელი (ლარი) |
|---|---|---|
| კრედიტორები (სადაზღვევოს გარდა) | 8 788 | 11 562 |
| მოგების გადასახადი | - | 2 896 |
| საშემოსავლო გადასახადი | 4 232 | 8 337 |
| ქონების გადასახადი | 235 | 3 423 |
| სხვა გადასახადები და ჯარიმები | - | 26 100 |
| სხვა მიმდინარე ვალდებულებები | 2 980 | 18 959 |
| | 16 235 | 71 277 |

## 18. სააქციო კაპიტალი

2011 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით *კომპანიის* საწესდებო კაპიტალი შეადგენდა 4480000 ლარს. ფინანსური ანგარიშგების შედგენის თარიღისათვის კომპანიის ერთადერთ დამფუძნებელს შეადგენდა სს „Стандард Страхование" ბაქო, აზერბაიჯანი 100%. 2011 წლის დასაწყისში *კომპანიას* 3 დამფუძნებელი ჰყავდა: 90% ეკუთვნოდა სს „Стандард Страхование" ბაქო, აზერბაიჯანი, 5% ეკუთვნოდა კამალ იბრაგიმოვს და 5% – ზურაბ გუმბერიძეს.

2011 წლის 1 ივნისს სს „Стандард Страхование"-ის მიერ მოხდა წილის შესყიდვა კამალ იბრაგიმოვისგან, ხოლო 2011 წლის 3 ივნისს დანარჩენი 5% შესყიდვა ზურაბ გუმბერიძისგან, რის შედეგადაც სს „Стандард Страхование" გახდა *კომპანიის* 100%-იანი მფლობელი.

## 19. მოზიდული სადაზღვევო პრემია

| | 2011 წელი (ლარი) | 2010 წელი (ლარი) |
|---|---|---|
| მოზიდული პრემია (დაზღვევა კასკო) | 267 294 | 552 482 |
| მოზიდული პრემია (საბანკო გარანტიები) | 22 416 | 3 018 |
| მოზიდული პრემია (ქონების დაზღვევა) | 20 780 | 49 558 |
| მოზიდული პრემია (სამედიცინო დაზღვევა) | 236 015 | 1 298 913 |
| მოზიდული პრემია (სხვა დაზღვევა) | 125 723 | 81 211 |
| | 672 228 | 1 985 182 |

## 20 გამოუმუშავებელი პრემიის რეზერვი

| | 2011 წელი (ლარი) | 2010 წელი (ლარი) |
|---|---|---|
| გამოუმუშავებელი პრემიის რეზერვი (დაზღვევა კასკო) | (190 788) | 81 701 |
| გამოუმუშავებელი პრემიის რეზერვი (ქონების დაზღვევა) | 11 786 | 3 299 |
| გამოუმუშავებელი პრემიის რეზერვი (სამედიცინო დაზღვევა) | (368 253) | 440 331 |
| გამოუმუშავებელი პრემიის რეზერვი (სხვა დაზღვევა) | (93 745) | (38 365) |
| | (641 000) | 486 966 |

## 21. გადაზღვევის ხარჯები

| | 2011 წელი (ლარი) | 2010 წელი (ლარი) |
|---|---|---|
| გადაზღვევის ხარჯები (დაზღვევა კასკო) | 242 430 | 291 983 |
| გადაზღვევის ხარჯები (ქონების დაზღვევა) | 7 473 | 16 384 |
| გადაზღვევის ხარჯები (სხვა დაზღვევა) | 170 374 | 78 747 |
| | 420 277 | 387 114 |

## 22. ზარალის ანაზღაურების ხარჯები

| | 2011 წელი (ლარი) | 2010 წელი (ლარი) |
|---|---|---|
| ზარალის ანაზღაურების ხარჯები (დაზღვევა კასკო) | 333 912 | 312 062 |
| ზარალის ანაზღაურების ხარჯები (სამედიცინო დაზღვევა) | 1 054 041 | 735 797 |
| | 1 387 953 | 1 047 859 |

## 23. სხვა შემოსავლები სადაზღვევო საქმიანობიდან

*კომპანიის* სხვა შემოსავლები სადაზღვევო საქმიანობიდან შეადგენდნენ 30461 ლარს 2011 წლის მდგომარეობით და 48257 ლარს 2010 წლის მდგომარეობით. სხვა შემოსავლები სადაზღვევო საქმიანობიდან საანგარიშგებო პერიოდში წარმოადგენდა შემოსავლებს გადარჩენილი ქონებიდან, კერძოდ მანქანებიდან, რომლებიც გადმოვიდნენ *კომპანიის* მფლობელობაში სადაზღვევო შემთხვევების დადგომის შედეგად და რომელთა რეალიზაცია მოახდინა უშუალოდ *კომპანიამ* სადაზღვევო ზარალის ანაზღაურების მიზნით.

## 24. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

| | 2011 წელი (ლარი) | 2010 წელი (ლარი) |
|---|---|---|
| ხელფასი | 573 497 | 509 665 |
| იჯარა | 83 462 | 125 886 |
| კომუნალური და საკომუნიკაციო ხარჯები | 30 011 | 20 897 |
| საკონსულტაციო და აუდიტის ხარჯები | 47 863 | 133 541 |
| ცვეთა და ამორტიზაცია | 54 446 | 47 769 |
| გადასახადები და ჯარიმები | 58 068 | 101 866 |
| საბანკო ხარჯები | 12 153 | 11 935 |
| წარმომადგენლობითი ხარჯები | 8 087 | 1 212 |
| სხვა ადმინისტრაციული ხარჯები | 127 318 | 82 423 |
| | 994 906 | 1 035 194 |

## 25. აგენტების და ბროკერების საკომისიო

საანგარიშო პერიოდში *კომპანიის* საკომისიო ხარჯებს ძირითადათ წარმოადგენდა სადაზღვევო კონტრაქტების მოზიდვასთან დაკავშირებული აგენტებისათვის გადახდილი ანაზღაურება. საკომისიო ხარჯები როგორც წესი წარმოადგენენ ერთჯერად, ფიქსირებულ გადასახადებს, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებულია ახალი სადაზღვევო კონტრაქტების (პოლისების) მოზიდვასთან *კომპანიაში*. მათი აღრიცხვა ხდება სისტემატურად, მომსახურების უშუალო მიღების პერიოდებში.

## 26. ფინანსური შემოსავალი და ფინანსური ხარჯები

*კომპანიის* ფინანსურ შემოსავალს საანგარიშგებო პერიოდში წარმოადგენდა შემოსავლები საქართველოს ბანკებში განთავსებული დეპოზიტებიდან და *კომპანიის* მიმდინარე ანგარიშებზე დარიცხული პროცენტები.

| | 2011 წელი (ლარი) | 2010 წელი (ლარი) |
|---|---|---|
| კორსტანდარტ ბანკი | 109 434 | 90 365 |
| ბანკი რესპუბლიკა | 13 022 | 19 441 |

| | | |
|---|---|---|
| პროკრედიტ ბანკი | 5 174 | |
| საქართველოს ბანკი | 23 430 | |
| თიბისი ბანკი | 16 494 | 3 779 |
| | 167 555 | 113 585 |

## 27. უარყოფითი საკურსო სხვაობები და სხვა შემოსავლები /(ხარჯები)

| | 2011 წელი (ლარი) | 2010 წელი (ლარი) |
|---|---|---|
| კურსთაშორის სხვაობიდან მოგება/(ზარალი), წმინდა | (103 384) | - |
| ძირითადი საშუალებების რეალიზაციიდან მიღებული მოგება / (ზარალი), წმინდა | (6 088) | - |
| საეჭვო ვალები | (88 263) | - |
| სხვა შემოსავალი / (ხარჯი) | 7 347 | (9 636) |
| | (190 388) | (9 636) |

## 28. მოგების გადასახადის ხარჯი

| | 2011 წელი (ლარი) |
|---|---|
| მოგება/(ზარალი) დაბეგვრამდე | (1 290 906) |
| მოგების გადასახადის ეფექტური პროცენტი | 15% |
| ფინანსური მოგების გადასახადი | 193 636 |
| მუდმივი (გამოუქვითავი) სხვაობებით გამოწვეული ცვლილება | 99 204 |
| მოგების გადასახადის შემოსავალი (ხარჯი) | 292 840 |

## 29. ფუნქციონირებადი საწარმო

ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად მომზადებული თანდართული ფინანსური ანგარიშგება მომზადდა იმის გათვალისწინებით, რომ საწარმო არის ფუნქციონირებადი, რაც იმას გულისხმობს, რომ აქტივების რეალიზაცია და ვალდებულებების დაფარვა ხორციელდება ბიზნესის ჩვეულებრივი მსვლელობისას.